

- 1. პროგრამის სახელწოდება:** გერმანული ფილოლოგია
პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ორ მოდულს:
 - 1) გერმანული ენათმეცნიერება
 - 2) გერმანული ლიტერატურათმცოდნეობამაგისტრანტი მისაღები გამოცდის ჩაბარებისთანავე ირჩევს მოდულს.
პროგრამის სამუშაო ენა არის გერმანული.
- 2. პროგრამის კოორდინატორი:** სრული პროფესორი ლალი ქეცბა-ხუნდაძე.
მოდულის ხელმძღვანელები: სრული პროფესორი ლალი ქეცბა-ხუნდაძე, სრული პროფესორი დოქტ. დალი ფანჯიკიძე.
- 3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი (გერმანული ენა და ლიტერატურა) MA in Philology (German Language and Literature)

4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სწავლება სამაგისტრო პროგრამაზე იწყება შემოდგომის სემესტრში.

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის პროგრამაზე “გერმანული ფილოლოგია” დაიშვებიან პირები, რომელთაც

- ჩაბარებული აქვთ ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
- გერმანულ ენაში ფლობენ ენობრივ კომპეტენციას, რომელიც შეესაბამება ევროკომისიის მიერ შემუშავებული “საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს” სკალირების შესაბამის B2/C1 დონეს;
- მიღებული აქვთ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სასწავლო პროგრამის “გერმანული ფილოლოგია” ფარგლებში ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (საშუალოზე მაღალი აკადემიური მაჩვენებლით) საქართველოში ან უცხოეთის რომელიმე აღიარებულ უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის, დასრულებული აქვთ გერმანიაში სწავლების ერთი სემესტრი გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახურის ან სხვა სტიპენდიით
- უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე დამატებითი პროგრამის “გერმანული ფილოლოგია” ფარგლებში დაგროვილი აქვთ 60 კრედიტი: საქართველოს უმაღლესი განათლების კანონის 48-ე მუხლის მე-4ბ პუნქტის შესაბამისად, ფართო პროფილის (ჰუმანიტარული - მაგ: ძირითადი პროგრამა: ქართული ფილოლოგია, თარგმანათმცოდნეობა, რუსული ფილოლოგია, ფილოსოფია და სოციალურ მეცნიერებათა ასევე ძირითადი პროგრამის - ჟურნალისტიკა) ბაკალავრები.
- შეასრულებენ შემდეგ საკონკურსო პირობებს: წერილობითი გამოცდა (ხანგრძლივობა 3 საათი), რომელსაც იბარებს დარგობრივი კომისია¹.
- სასურველია ფლობდნენ ენობრივ კომპეტენციას ერთ-ერთ ევროპულ ენაში (ინგლისური, ფრანგული, იტალიური, ესპანური ან რუსული), რომელიც შესაბამება ევროკომისიის მიერ შემუშავებული “ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთოევროპული რეკომენდაციების ჩარჩოს” სკალირების A2-დონეს.

¹ საკონკურსო პროგრამა შესაბამისი ლიტერატურის სიით წინასწარ ქვეყნდება საუნივერსიტეტო ვებგვერდზე, ხოლო სათანადო ლიტერატურის ნახვა შესაძლებელია მიმართულების ბიბლიოთეკაში რიდერის სახით; საგამოცდო კომისია წინასწარ აქვეყნებს საკონკურსო პირობებსა და შეფასების კრიტერიუმებს. გამოცდის შედეგები ცხადდება საუნივერსიტეტო ვებგვერდზე.

საკონკურსო შერჩევის შედეგად უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე კონკურსანტების არდაშვების პირობებს დამატებით არეგულირებს საგამოცდო დებულება კომისიის მიერ შემუშავებული საგამოცდო კრიტერიუმების საფუძველზე.

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სასწავლო პროგრამა გერმანული ფილოლოგია, რომელიც წარმოდგენილია ორი მუდულით - გერმანული ენათმეცნიერება და გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა, მიზნად ისახავს:

- დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენას გერმანული ფილოლოგიის ფარგლებში და შემდგომი მეთოდოლოგიური საფუძვლის შექმნას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის (დოქტორანტურა) გასაგრძელებლად.
- მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებას გერმანული ენისა და ლიტერატურის ძირითადი ობიექტის - ტექსტის სხვადასხვაგვარი ფორმების, ფუნქციებისა და მედიალური რეპრეზენტაციების ანალიზისა და ინტერპრეტაციების გზით.
- ენობრივი კომპეტენციის გაღრმავებასა და სრულყოფას; იგი უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული “საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს” სკალირების C1-დონეს მაგისტრატურის სრული კურსის მოსმენის შემდგომ;
- წარმოდგენილი მოდულების ფარგლებში: სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ლიტერატურის ტექსტების გაცნობას, ტექსტის სახეობათა ლინგვისტური ანალიზისა და ინტერპრეტაციის შერჩევით;
- ტექსტის წარმოქმნისა და გაგების (ჰერმენევტიკული) პროცესის წვდომას;
- მაგისტრანტს შესძინოს: მეცნიერული თეორიების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და პოლემიკის ფორმატში კონსტრუქციული და დასაბუთებული დასკვნების გამოტანის, დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, ემპირიული მასალისა და კრიტიკული ლიტერატურის მოძიების უნარ-ჩვევები;
- სასწავლო და კვლევითი პროცესების ინტეგრირებას;
- ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიისა და სოციალური სწავლებისა და კვლევის ყველა შესაძლო ფორმაზე დაყრდნობით, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში კურსდამთავრებულის უკეთ ინტეგრაციას საზოგადოებაში და მის წარმატებულ დასაქმებას.

აღნიშნული ორი მოდულიდან მაგისტრანტი მისაღები გამოცდის ჩაბარებისთანავე ირჩევს მოდულს, თუმცა არჩევითი საგნების ფორმატში მას შეუძლია საკუთარი ფილოლოგიური კომპეტენციების გაღრმავება პარალელური მოდულის (არჩევითი) საგნების შესწავლის საფუძველზე.

სამეცნიერო თემატიკა, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა, დაეფუძნება სასწავლო დისციპლინების იმ დარგობრივი კომპეტენციების ბმულობას, რომელთა შეძენა ხდება საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე. მაგისტრანტთა კვლევითი პოტენციალი გამოვლენა მოხდება არა მარტო საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, არამედ მათ მიერ სემინარებზე წარმოდგენილ ცალკეულ პრობლემატიკათა შესწავლით და რეფერატებით

პრეზენტაციით, რაც შემდგომში ასევე ასახვას პოულობს სამაგისტრო ნაშრომების გერმანულ ან ქართულ ენაზე დაწერასა და მათ გერმანულ ენაზე დაცვაში.

- თანამშრომლობის ფარგლებში წარმატებული აკადემიური მოსწრების მაგისტრანტებს სწავლის პროცესში საშუალება აქვთ საკვლევი თემატიკის წარდგენის საფუძველზე მონაწილეობა მიიღონ სემესტრულ სასტიპენდიო და საგრანტო კონკურსებში, რომელსაც ყოველწლიურად გვთავაზობენ პარტნიორები დიუსელდორფის უნივერსიტეტიდან. პარტნიორობა გერმანისტიკის დარგში დაიწყო 2008 წლის იანვარში. ამავე წლის ზაფხულის სემესტრში სტიპენდია მიიღო სამმა სტუდენტმა, რომლებმაც დიუსელდორფში წარმატებით დახურეს ერთი სემესტრი და დაბრუნების შემდგომ დაიცვეს სამაგისტრო ნაშრომები გერმანულ ენაზე და აგრძელებენ სწავლას დოქტორანტურაში. ამჟამად ორი მაგისტრანტი სწავლობს დიუსელდორფის უნივერსიტეტში ერთსემესტრიანი სტიპენდიით და წარმატებით ეუფლება ცოდნას.

პარტნიორი უნივერსიტეტის გერმანისტი პროფესორები ყოველწლიურად ჩამოდიან შემოდგომის სემესტრში და ატარებენ სამი კვირის მანძილზე ყოველდღიურ (ოთხ საათიან ბლოკსემინარებს), ასევე ზეპირ და წერით კოლოქვიუმებს, რის საფუძველზეც ისინი შემდგომ გასცემენ კრედიტს ამა თუ იმ საგანში.

ეს არის ერთობლივი სამაგისტრო დიპლომისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. 2009 წლის შემოდგომაზე ტარდება ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას დოქტორანტებთან ერთად მიიღებენ ჩვენი მაგისტრები, რომლებიც აპირებენ სწავლის გაგრძელებას შემდგომ სადოქტორო დონეზე.

მაგისტრატურაში სწავლის დროს სტიპენდიებისა და გრანტების მიღების შესაძლებლობები: სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მხარდაჭერით ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტისა და დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის გერმანისტიკის კათედრებთან არსებული ინსტიტუტთაშორის პარტნიორობის ფარგლებში: გერმანისტიკა I (გერმანისტული ლინგვისტიკა) და გერმანისტიკა II (გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა).

თანამშრომლობის პროექტის ხელმძღვანელები (გერმანული მხარე):

გერმანულ ენათმეცნიერებაში (გერმანისტიკა I):

პროფ.დოქტ. დიტრიხ ბუსე

გერმანულ ლიტერატურათმცოდნეობაში (გერმანისტიკა II):

პროფ.დოქტ. სიბილე შენბორნი

პროექტის ხელმძღვანელი (ქართული მხარე):

პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე

კონსულტანტები: დოქტ. ჰანს შარფი, პროფ. დოქტ. ჰელმუტ ბრალ-ტუხელი.

არსებობს აგრეთვე სხვა სტიპენდიები, რომლებსაც აცხადებს:

1. გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD);
2. ავსტრიის აკადემიური გაცვლის სამსახური (ÖAAD);
3. საუნივერსიტეტო პარტნიორი უნივერსიტეტები (ზაარლანდი, იენა)

ამ სტიპენდიებისთვის კონკურსებში მონაწილეობა შეუძლია ყველა მაგისტრს გარკვეული წინაპირობების შესრულების საფუძველზე.

შედეგები:

I. საბაკალავრო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით:

- საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს მოთხოვნათა შესაბამისად პრაქტიკული ენის ცოდნის გაღრმავება ზოგადი კომპეტენციების მიხედვით და ევროკომისიის მიერ შემუშავებული “საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს” სკალირების პრინციპის შესაბამისად;
- ფართო და დეტალური ცოდნის მიღება, გერმანული ფილოლოგიის ერთ-ერთ მოდულში, განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომებითა და შერჩეულ მოდულთან დაკავშირებული ფილოლოგიური უნარ-ჩვევებით;

მოდულის “გერმანული ენათმეცნიერება” ფარგლებში:

- ფილოლოგიური კვლევის კომპარატიული მეთოდების, აგრეთვე დარგობრივი, ქრონოლოგიური და თემატური მიდგომების გაცნობა, დისკუსიის ჩვევების გაღრმავება;
- დარგობრივი ცოდნის მიღება გერმანულ ენათმეცნიერებაში სინქრონულ პერსპექტივაში;
- ცალკეულ ლინგვისტურ დისციპლინათა პრობლემატიკის შესწავლა;
- ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდების დაუფლება;
- ლინგვისტური წარსულის ზოგადი დიაქრონული სქემის და თანამდროვე ლინგვისტური დებატების საკითხებისა და თემატიკის შესწავლა;
- ლინგვისტური კვლევის ტექნიკების დაუფლება: ემპირიული მასალის მოძიება, მეთოდური დალაგება და ანალიზი.

მოდულის “გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა” ფარგლებში:

- დარგობრივი ცოდნის მიღება გერმანულ ლიტერატურათმცოდნეობაში სინქრონულ პერსპექტივაში;
- ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად მიმართულებების და ლიტერატურული ჟანრების განვითარების ისტორიის ცოდნის დაუფლება; საპროგრამო ნაწარმოებების ეტაპობრივად გაცნობა;
- ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებისა და ინტერპრეტაციის ტექნიკების შესწავლა;
- ლიტერატურათმცოდნეობის წარსულის ზოგადი დიაქრონული სქემის და თანამდროვე ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი საკითხებისა და თემატიკის დაუფლება;

II. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიღებული ცოდნის საფუძველზე შემდეგ პრაქტიკულ უნარებს იძენს:

- უცხო ენაზე: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის განხორციელების, დარგობრივ საკითხებზე დისკუსიის წარმართვის და კონსტრუქციული გზით კრიტიკული შეხედულებების გამოხატვა;
- ავთენტური ტექსტების შერჩევა, კითხვა და გაგება;
- უცხო ენაზე ემპირიული მასალის, პრიმარული და სეკუნდარული ლიტერატურის მოძიება, შერჩევა, შეფასება, დალაგება და საბოლოოდ, კვლევის შედეგების შეჯერება;
- ფილოლოგიური კვლევის სხვადასხვა მიმართულებების პრობლემების წამოჭრა და მათ გადასაჭრელად მეთოდების გამოყენება;

- მოძიებული სამეცნიერო (სეკუნდარული) ლიტერატურის დამუშავება და თარგმნა-კომენტირება;
 - დისციპლინის მოთხოვნების შესაბამისად გერმანული ფილოლოგიის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვა, ზეპირ და წერილობით ფორმაში ჩამოყალიბება და მიღებულ სტანდარტებში წარმოდგენა;
 - შეძენილი ცოდნისა და კვლევის შედეგების პრეზენტაცია;
- III. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იღებს ზოგად და ტრანსფერულ უნარებს (ლინგვისტურს, მეთოდოლოგიურს, ტექნოლოგიურს, სოციალურსა და სისტემურს).

დასაქმების სფეროები:

სამაგისტრო დონის უმაღლესი განათლება კარგი წინაპირობაა წარმატებული პროფესიული საქმიანობის დაწყებისათვის. სამაგისტრო ანუ მეორე საფეხურის სასწავლო პროგრამა, რომელიც უმეტესწილად კვლევაზეა ორიენტირებული, კურსდამთავრებულთა მომავალი პროფესიული ორიენტაციისათვის მნიშვნელოვან სამეცნიერო საფუძვლებს, მეთოდურ კომპეტენციებსა და პროფესიაზე მიმართულ კვალიფიკაციებს აერთიანებს. სამაგისტრო პროგრამა ემსახურება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ზოგადი ფილოლოგიური კომპეტენციების დარგობრივად გაღრმავებას. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სრული კურსის დასრულების შემდეგ გერმანული ფილოლოგიის მაგისტრს საშუალება ეძლევა მონახოს შემდგომი დასაქმების სეგმენტი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. პროფესიულ და დარგობრივ ცოდნასთან ერთად მაგისტრანტი უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სწავლის პროცესში იძენს დამატებით კვალიფიკაციებს, უნარებს, ცოდნასა და გამოცდილებას, რაც შემდგომში მას საშუალებას მისცემს მომავალი დამქირავებლის წინაშე წარმოაჩინოს არა მხოლოდ დარგობრივი ცოდნა, არამედ საქმიანობის ნებისმიერი სფეროსთვის აუცილებელი ზოგადი, სოციალური უნარ-ჩვევები.

ამრიგად, სწავლების პროცესში სტუდენტები უპირველეს ყოვლისა იძენენ საკვანძო კვალიფიკაციებს, რის შედეგადაც კურსდამთავრებული მაგისტრები შესაძლოა დასაქმდნენ ყველა იმ სფეროში, სადაც ზოგადად მიმდინარეობს ვერბალური კომუნიკაცია გერმანულსა და ქართულ ენებზე. მათ შესწევთ ინფორმაციის მოპოვების, მისი დამუშავების, ვერბალიზაციისა და, შესაბამისად, ამ უკანასკნელის ზეპირად ან წერილობით ფორმაში პრეზენტაციის უნარი როგორც ქართულ ასევე გერმანულ ენებზე. აქედან გამომდინარე, კურსდამთავრებულს თავის პროფესიულ, სპეციფიკურ დარგობრივ კომპეტენციებზე და სწავლის პროცესში გამომუშავებულ სოციალურ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით, შეუძლია სწავლა გააგრძელოს ან დასაქმდეს შემდეგ სფეროებში:

- მეცნიერება და კვლევა უნივერსიტეტში - დოქტორანტი (უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლა)
- კვლევით ინსტიტუტებში: მეცნიერი თანამშრომელი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ლიტერატურის ინსტიტუტსა ან ენათმეცნიერების ინსტიტუტში;
- განათლების სფეროში - რეფერენტი, მოხელე/ადმინისტრატორი (უმაღლესი სასწავლებლები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო);
- საგამომცემლო საქმეში - კორექტორი, სტილისტი, ტექნიკური რედაქტორი (ყველა ტიპის გამომცემლობა);

- ჟურნალისტიკაში - მოდერატორი, კორესპონდენტი, რედაქტორი (რადიოსა და ტელევიზიაში); კორექტორი და კორესპონდენტი (ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში);
- სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციებში - მდივანრეფერენტი, მოხელე/ადმინისტრატორი;
- პოლიტიკაში - საერთაშორისო ორგანიზაციები, დიპლომატიური კორპუსი, საერთაშორისო ფონდები და ორმხრივი პროექტები, საქართველოში მოქმედი გერმანული ინსტიტუციები - საქმის მწარმოებელი- რეფერენტი;
- კულტურის სფეროს კერძო და საჯარო სამსახურებში - თარჯიმანი-გამყოლი/მეგზური, მენეჯერი (მუზეუმები, საერთაშორისო გამოფენები და ფესტივალები);
- საზოგადოებასთან ურთიერთობაში - რეფერენტი (რეკლამა, მარკეტინგი);
- ადმინისტრირებაში - მოხელე/ადმინისტრატორი, მენეჯერი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში - რეფერენტი (არქივები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები და ა.შ.)

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.